## მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“

**მოთხოვნათა საერთო რაოდენობა – 24**

**22 – დაკმაყოფილდა**

**2 – მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება**



- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში“ არ შესულა;
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების განხილვის, მოთხოვნების დაკმაყოფილების და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფას ახორციელებდა საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ აღმასრულებელი დირექტორი თეა აბრამიძე. 2022 წლის განმავლობაში მის მოვალეობას ასრულებდნენ შემდეგი პირები: მონიტორინგისა და შიდა კონტროლის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირა ნემსაძე – 2022 წლის 31 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით და 2022 წლის 11 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით; სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრის“ უფროსი ინგა ქომეთიანი – 2022 წლის 28 მარტიდან 21 აპრილის ჩათვლით; 17 მაისიდან 8 ივლისის ჩათვლით და 18 ივლისიდან დღემდე;
- თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები;
- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა სასამართლო წესით გასაჩივრების არცერთი შემთხვევა, არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია პალატისათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.